

**საქართველოს მთავრობის**  
**დადგენილება**  
**N 182 2009 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა მესხიას**  
**ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის სახედ სასწავლო**  
**უნივერსიტეტის განსაზღვრისა და სახელწოდების**  
**შეცვლის შესახებ**

მუხლი 1. “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 13<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა მესხი-ას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის სახედ განისაზღვროს სასწავლო უნივერსიტეტი და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტს ეწოდოს “შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი”.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჩაითვალოს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის N145 დადგენილებით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის უფლებამონაცვლედ.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის N1150 ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ნიკა გილაური*